

ვალერია კიკვიძე

კავკასიის ბიზნესის სკოლა

University of Valladolid, Spain

„ერაზმუს + ის პროგრამაში მონაწილეობის უზარმაზარი სურვილი მქონდა. გამიმართლა და ასეთი გამოცდილება მივიღე სასურველ ქვეყანაში. პანდემიის პერიოდის მიუხედავად, რომელიც საკმაოდ რთული იყო მთელი მსოფლიოსთვის, ვერ ვიქნები უკმაყოფილო ჩემი თავგადასავლებით. ESN (ერაზმუსის სტუდენტური ქსელი) ყოველთვის მაქსიმალურად ცდილობდა ივენთების დაგეგმვასა და შთამბეჭდავი მოგონებების შექმნას.

მინდა ვთქვა, რომ ასეთი შესაძლებლობა ნამდვილად მშვენიერია და ეს შანსი არ უნდა გაუშვა ხელიდან. ხალხის გაცნობა, ცვლილება, ახლის ცდა და კომფორტის ზონიდან გასვლა ცხოვრების სულ სხვა პერსპექტივას გაჩვენებს. ეს სემესტრი ჩემთვის აღტაცებებით სავსე პერიოდად დამამახსოვრდა და მუდამ მემახსოვრება.”